ნაფიცი მსაჯულების შერჩევის მეთოდი დიდ ბრიტანეთში

დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში, ამერიკის მსგავსად, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის საქმეებში მონაწილეობის გარდა ასევე მონაწილეობენ სამოქალაქო საქმეებშიც, თუმცა ამერიკის მოდელისაგან განსხვავებით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება ცილისწამებას ან ერთ-ერთ მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს.

სამეფო სასამართლოში არის კანცლერი[1] რომელიც პასუხისმგებელია ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესზე. ნაფიც მსაჯულთა კორპუსის შექმნა რამდენიმე ეტაპად იყოფა, სადაც პირველი ეტაპი გულისხმობს ნაფიცი მსაჯულების არჩევას საარჩევნო სიიდან. ეს არის ავტომატური პროცესი, რომელიც ითვალისწინებს შემთხვევითი შერჩევის პროცესს კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ცენტრალურ ოფისში.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა აწესებს შეზღუდვებს პირებზე, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ნაფიც მსაჯულებს. კერძოდ, ნაფიცი მსაჯული უნდა იყოს 18-დან 90 წლამდე და უნდა იყოს გაერთიანებული სამეფოს, Channel Islands ან Isle of Man-ის მაცხოვრებელი მინიმუმ 5 წლის განმავლობაში ვიდრე მას შეუსრულდებოდა 30 წელი.[2]

აღსანიშნავია, რომ ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყვეს მოსამართლე, მაგისტრანტი მოსამართლე, სასამართლოს მდივანი ან თანაშემწე და სხვა პირები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მართლმსაჯულებასთან (იურისტები), რელიგიური მსახური ან ფსიქიკურად დაავადებული პირები,[3] ასევე ფიზიკურად შეზღუდული პირები თუ მათ ამის გამო არ შეუძლიათ იყვნენ ნაფიცი მსაჯულნი.[4]

მადისკვალიფიცირებელ გარემოებად ასევე ითვლება თუ პირს გაერთიანებულ სამეფოში, Channel Islands ან Isle of Man-ში თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული, სიცოცხლის ბოლომდე ან 5 წლამდე მეტი ვადით ან თუ პირს ბოლო ათი წლის განმავლობაში შეფარდებული ქონდა თავისუფლების აღკვეთა ან სასჯელს იხდიდა არასრულწლოვანთა პენიტენციურ დაწესებულებაში, ან თუ პირს შეფარდებული აქვს აღმკვეთი ღონისძიება ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ასევე თუ პირს ბოლო 5 წლის განმავლობაში შეფარდებული ჰქონდა პირობითი მსჯავრი.[5]

---

[1] Juries Act 19741974 CHAPTER 23, Section 2
[2] Juries Act 19741974 CHAPTER 23, Section 1 available at <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1974/23>
[3] Juries Act 19741974 CHAPTER 23, Schedule 1, Part I (Group A, B, C and D)
[4] Juries Act 19741974 CHAPTER 23, Section 9B
[5] Juries Act 19741974 CHAPTER 23, Schedule 1, Part II

სასამართლომ ნაფიცი მსაჯულების სიიდან უნდა მოხსნას პირი, რომელიც უკვე იყო ნაფიცი მსაჯული უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ან რომელიმე სასამართლომ მოხსნა ის ნაფიც მსაჯულთა სიიდან.[6]

პირები, რომლებიც თავიანთი სამსახურის ხასიათის ან თანამდებობის გამო უფლება აქვთ უარი თქვან ნაფიც მსაჯულად სასამართლოში წარდგენაზე არიან: გაერთიანებული სამეფოსა და ევროპის გაერთიანების პარლამენტის წევრები, შეიარაღებული ძალების მსახურები, სამედიცინო და მსგავსი პერსონალი, თანამდებობის პირები, მორწმუნეები, რომელთა რწმენაც ეწინააღმდეგება ნაფიც მსაჯულად ყოფნას.[7]

შერჩეული პირები ვალდებულნი არიან შეატყობინონ სასამართლოს იმ მიზეზების არსებობის შესახებ, რის გამოც ვერ დაესწრებიან პროცესს. დანარჩენი პირები, როლებიც თანახმა არიან იყვნენ ნაფიცი მსაჯულები, ივარაუდება რომ პროცესს დაესწრებიან ორი კვირის განმავლობაში.

ზოგიერთ შემთხვევაში ბრალმდებლის ან დაცვის მხარის მოთხოვნით შესაძლოა მოხდეს სავარაუდო მსაჯულების შემოწმება, რომელიც გულისხმობს პოლიციის მიერ მათი შესაძლო მადისკვალიფიცირებელი გარემოებების გადამოწმებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამგვარი გამოძიება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაშინ როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოებას და შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ მთავარი პროკურორის თანხმობით.

ეტაპი II : შერჩეული 15 კანდიდატისგან, მოსამართლის თანაშემწე ირჩევს 12-ს შემთხვევითი შერჩევის წესით, რომლებიც შეადგენენ ნაფიც მსაჯულთა სრულ სიას. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანი იცნობს პროცესის მხარეს აღნიშნულის შესახებ ვალდებულია აცნობოს სასამართლოს. აღნიშნული მსაჯულის ჩანაცვლება ხდება დარჩენილი სამი კანდიდატიდან ერთ-ერთით.

ეტაპი III: მას შემდეგ, რაც შეირჩევა 12 ნაფიცი მსაჯული, ბრალმდებელსა და დაცვის მხარეს უფლება აქვს აიცილონ ერთი ან მეტი მსაჯული.

[6] Juries Act 19741974 CHAPTER 23, Section 8
[7] Juries Act 19741974 CHAPTER 23, Section 9 და Schedule 1, Part III